

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
შპს ჰბ რიკოთი

ფინანსურ ანგარიშგება

2023 დასრულებული წლისათვის

რაც მოიცავს პერიოდს

01.I.2023 დან ~ 31.XII.2023 მდე

თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასებული და
წარდგენილია

საქართველოს ეროვნულ ვალუტაში

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია

მცირე და საშუალო საწარმოების

ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად.

თბილისი,

ხარაგაული, ს.საქასრია

2024 წ. სექტემბერი

შპს ჰბ რიკოტი (ინდივიდუალური)
2023 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის
სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2022 1 ლარი	2023 1 ლარი
ამონაგები	4	716 672	1 599 956
სხვა შემოსავალი	5	0	0
არასაკონსოლიდირებელი შემოსავალი	-	359 818	74 983
გამოყენებული ნედლეული და მასალები	-	-358 525	-726 128
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა	-	-102 141	-269 386
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	-	-59 314	-106 817
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	-	0	0
სხვა ხარჯები	6	-217 393	-227 632
ფინანსური დანახარჯები	-	-120 878	-108 035
მოგება დაბეგვრამდე	-	218 239	236 941
მოგების გადასახადის ხარჯი	7	0	0
მიმდინარე წლის მოგება	-	218 239	236 941

საწარმოს დირექტორი
ი. ჩიქოვანი



შპს "ზ. რიკოტი" (ინდივიდუალური)
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრისათვის

შენიშვნა	2021 1 ლარი	2022 1 ლარი	2023 1 ლარი
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	104 765	7 741	19 609
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	835 451	38 904	34 758
გაცემული ავანსები	0	0	0
წინასწარ გადახდილი გადასახადი	0	0	0
სხვა	0	0	0
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	165	26 035	27 275
	940 381	72 680	81 642
გრძელვადიანი აქტივები			
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში	0	0	0
ძირითადი საშუალებები	595 070	1 756 616	1 675 278
არამატერიალური აქტივები	0	1 465	1 245
სხვა	0	0	0
გადავადებული საგადასახადო აქტივი	0	0	0
	595 070	1 758 081	1 676 523
სულ აქტივები	1 535 451	1 830 761	1 758 165
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	743	33 934	18 112
მოკლევადიანი სესხები	1 368 604	0	0
გადასახდელი პროცენტი	0	0	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	0
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	113 048	23 442	14 056
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები	0	0	0
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	0	0	0
	1 482 395	57 376	32 168
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ბანკის სესხი	0	1 614 479	1 330 600
მომუშავეთა გრძელვადიანი გასამრჯელოები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	0	0	0
	0	1 614 479	1 330 600
სულ ვალდებულებები	1 482 395	1 671 855	1 362 768
საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი	15	112 390	0
სააქციო კაპიტალი	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება	-59 333	-59 333	158 456
პერიოდის მოგება	0	218 239	236 942
	53 057	158 906	395 398
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	1 535 452	1 830 761	1 758 166
	1.00	-	1.00

საწარმოს დირექტორი
ირაკლი ჩიქოვანი

ჩიქოვანი



შპს "ზზ რიკოტი" (ინდივიდუალური)

2023 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

შენიშვნა	2022 1 ლარი	2023 1 ლარი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
პერიოდის მოგება	218 239	236 942
ცვეთის ხარჯები	59 314	106 817
საპროცენტო ხარჯები	120 878	108 035
საპროცენტო შემოსავალი	-	1 590
გასაცემი ხელფასების ზრდა	-	-
გადახდილი გადასახადები ზრდა	89 605	9 387
მომწოდებელის ვალდებულებების ზრდა	1 335 413	16 272
დებიტორების დავალიანების ზრდა	796 547	4 146
საქონლის ზრდა	25 870	1 240
სხვა განაცემები	-	-
საბანკო მომსახურების ხარჯი	-	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	255 910	427 451
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	1 222 325	25 259
ძირითადი საშუალების გაყიდვა	-	-
ინვესტირება შვილობილ საწარმოში	-	-
მიღებული დივიდენდი	-	1 590
მიღებული პროცენტები	-	-
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	1 222 325	23 669
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის შემოტანა	-	-
საწესდებო კაპიტალის გატანა	112 390	-
შემოსულობები სესხებიდან	1 614 479	283 879
ნასესხები სახსრების გადახდა	-	-
პროცენტის გადახდა	120 878	108 035
გაცემული დივიდენდები	-	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	1 381 211	391 914
ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისის	104 765	7 741
ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	104 765	7 741
	97 024	11 868

საწარმოს დირექტორი

ირაკლი ჩიქოვანი



შპს "პიკოტი" (ინდივიდუალური)
2023 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

შენიშვნა	საწესებო კაპიტალი 1 ლარი	აკუმ. მოგება 1 ლარი	სულ 1 ლარი
კაპიტალი 2021 წ. 31 დეკემბრით	-	112 390 - 59 333	
პერიოდის მოგება/ზარალი	-	218 239	
პერიოდის დივიდენდები	-		
პერიოდის რეზერვების მოძრაობა	-		
პერიოდში დამფუძნებლის შემონატანი	-	112 390 -	
კაპიტალი 2022 წ. 31 დეკემბრით	-	- 158 906	158 906
პერიოდის მოგება/ზარალი	-	236 942	
პერიოდის დივიდენდები	-		
პერიოდის რეზერვების მოძრაობა	-	- 450	
პერიოდში დამფუძნებლის შემონატანი	-	-	
კაპიტალი 2023 წ. 31 დეკემბრით	-	- 395 398	395 398

საწარმოს დირექტორი
ირაკლი ჩიქოვანი



1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჰბ რიკოთი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ხარაგაული, ს.საქასრია მისი ძირითადი საქმიანობაა სარესტორნო მომსახურება მასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობები.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და საადრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული ადრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

სამუშაო ვალუტა

საწარმოს სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი, რადგან ის წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, სადაც საწარმო ეწევა საქმიანობას.

თავდაპირველი აღიარება

საწარმომ უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციებს თავდაპირველი აღიარებისას ასახავს სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ იყენებს უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსს, ოპერაციის თარიღისათვის.

წარდგენა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდების ბოლოს

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმო:

(ა) უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები გადაიყვანს საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით;

(ბ) არაფულადი მუხლები, რომლებიც ასახულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულებით, გადაიყვანს ოპერაციის თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით;

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

დარიცხვის მეთოდი

ფინანსური ანგარიშგება, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის გარდა, მოამზადებულია დარიცხვის მეთოდის საფუძველზე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგების მომზადებულია საწარმოს საქმიანობის გაგრძელების უნარის გათვალისწინებით როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ანგარიშგება.

საწარმო მიიჩნევა ფუნქციონირებად საწარმოდ რადგან მის ხელმძღვანელობას განზრახული არა აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის, ასე რომ მოიქცეს.

საწარმოს ფუნქციონირებადობის შეფასებისას ხელმძღვანელობა გამოიყენა ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაცია მომავლის შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღიდან სულ მცირე თორმეტი კალენდარულ თვეს მოიცავს, თუმცა შეზღუდული არ არის ამ პერიოდით.

ანგარიშგების წარდგენის სიხშირე

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტს (მათ შორის, შესადარისი ინფორმაცია) საწარმო ადგენს წლიურ საფუძველზე და წელი ემთხვევა კალენდარულ წელს.

2023 წლის ანგარიშგებები მომზადებულია სტანდარტულ პერიოდზე და მოიცავს ზუსტად კალენდარულ წელს - 12 თვეს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

თავდაპირველი აღიარებისას აქტივები და ვალდებულებები შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით, თუ წინამდებარე სტანდარტით სხვა საფუძვლის გამოყენება არ მოითხოვება,

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასებასა საწარმო ძირითად ფინანსურ აქტივებსა და ძირითად ფინანსურ ვალდებულებებს აღიარებს ამორტიზებული ღირებულებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით,

არაფინანსური აქტივების შეფასება შემდეგი საფუძვლით:

(ა) ძირითად საშუალებებს აფასებს დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურებით შემცირებულ თვითღირებულებასა და ანაზღაურებად ღირებულებას შორის უმცირესი თანხით (თვითღირებულების მოდელი),

(ბ) მარაგს აფასებს თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით; და

ფინანსური ვალდებულებების გარდა, ყველა სხვა ვალდებულების უმეტესობა აღიარდება იმ თანხის ოდენობის საუკეთესო შეფასებით, რომელიც საჭიროა ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისათვის.

ამონაგების აღიარება

შემოსავლებიდან ამონაგები აღიარდება მომსახურების მიწოდების დასრულებისთანავე.

მოგების გადასახადი

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის მანძილზე განაწილებული მოგების ოდენობას - ესტონური მოდელის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, ნაშთის შემცირებადი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

იჯარით არებული შენობა-ნაგებობების რემონტები
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა
ავეჯი და სხვა ინვენტარი

15 პროცენტი

20 პროცენტი

20 პროცენტი

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს იდენტიფიცირებად არამატერიალურ ქონებას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება არ ხდება.

სასაქონლო-მატერიალური ფასულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მისი შეძენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (იმ გადასახადების გარდა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები და სხვა ანალოგიური მუხლები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებაში.

ჩამოწერის თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ინსტრუმენტები

საწარმომ ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვისთვის იყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელის

საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს, ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

როდესაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება პირველად აღიარდება, საწარმო აფასებს მას გარიგების ფასით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ფინანსური ინსტრუმენტებს აფასებს იმგვარად, როგორც განსაზღვრულია ქვემოთ,

(ა) სავალსე ინსტრუმენტები უნდა შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. სავალსე ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, უნდა შეფასდეს გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით,

3. პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები

საწარმოს არანაირი პირობითი აქტივი და ვალდებულება არ აქვს,

ამონაგები

საწარმო ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

4. ამონაგები

	2022	2023
	1 ლარი	1 ლარი
სარესტორნო მომსახურებები	716 672	1 599 956
სხვა შემოსავლები (პროცენტები)	0	1 590
გადაფასების შედეგი	359 818	73 393
	1 076 490	1 674 939

5. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

საწარმოში სხვა შემოსავლები ესაა საქონლის უსასყილო მიღებული ერთჯერადი შემოსავლები

6. სხვა ხარჯები

შემდეგი ხარჯები აღიარებულ იქნა სხვა ხარჯად:

	2022 1 ლარი	2023 1 ლარი
საშუამავლო მომსახურება	-	-
საიჯარო ქირა	34 132	62 079
საოფისე ხარჯები	27 894	47 352
კომუნალური ხარჯები	2 717	5 395
დაზღვევის ხარჯი	796	303
რემონტის დანახარჯები	-	-
საწვავის ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	11 512	1 800
სარეკლამო ხარჯი	9 794	13 678
ქონების გადასახადის ხარჯი	14 531	28 652
საბანკო ხარჯები	116 016	68 373
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები, რომლებიც გამოიქვითება	217 392	227 632

7. მოგების გადასახადის ხარჯი

პერიოდის განმავლობაში მოგების გადასახადის ხარჯი და ვალდებულება წარმოიშვა იმის კვალობაზე რომ საწარმოზე ვრცელდება ესტონური მოდელი და მოგების განაწილება მოხდა

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

	2021 1 ლარი	2022 1 ლარი	2023 1 ლარი
სავაჭრო დებიტორები		124	398
გადახდილი ავანსები	835 451	50	50
სხვა		38 730	34 310
	835 451	38 904	34 758

9. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

ნედლეული და მასალები
სხვა მარაგები

	2021 1 ლარი	2022 1 ლარი	2023 1 ლარი
	-	14 132	15 972
	165	11 903	11 303
	165	26 035	27 275

10. მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები

კომპანია არ ფლობს წილს რომელიმე შვილობილ საწარმოში, ასევე არ მონაწილეობს ერთობლივ საქმიანობაში და ამხანაგობაში

11. ძირითადი საშუალებები

	2021 1 ლარი	2022 1 ლარი	2023 1 ლარი
მიწა		288 590	392 352
შემოსვლა/გასვლა		103 762	-
წლიური ცვეთა		-	-
ცვეთის გასვლა		-	-
საბალანსო ღირებულება	288 590	392 352	392 352
დაუმთავრებელი მშენებლობა		276 545	-
შემოსვლა/გასვლა		867 994	-
წლიური ცვეთა		1 144 539	-
ცვეთის გასვლა		-	-
საბალანსო ღირებულება	276 545	-	-
შენობა		-	1 115 925
შემოსვლა/გასვლა		1 144 539	-
წლიური ცვეთა		28 614	55 987
ცვეთის გასვლა		-	-
საბალანსო ღირებულება	-	1 115 925	1 059 938
დანადგარები და ელექტრო მოწყობილობები		2 860	81 389
შემოსვლა/გასვლა		87 890	6 414
წლიური ცვეთა		9 361	16 919
ცვეთის გასვლა		-	-
საბალანსო ღირებულება	2 860	81 389	70 884
მცირეფასიანი ინვენტარი, ჭურჭელი და სხვა		-	48 694
შემოსვლა/გასვლა		54 104	8 777
წლიური ცვეთა		5 410	10 616
ცვეთის გასვლა		-	-
საბალანსო ღირებულება	-	48 694	46 855
ოფისის აღჭურვილობა კომპიუტერები		-	3 363
შემოსვლა/გასვლა		3 737	-
წლიური ცვეთა		374	673
ცვეთის გასვლა		-	-
საბალანსო ღირებულება	-	3 363	2 690
ავიჯი და ინვენტარი		1 483	106 687
შემოსვლა/გასვლა		117 223	2 441
წლიური ცვეთა		12 019	21 581
ცვეთის გასვლა		-	-
საბალანსო ღირებულება	1 483	106 687	87 547
სარეკლამო საშუალებები		-	-
შემოსვლა/გასვლა		-	6 727
წლიური ცვეთა		-	-
ცვეთის გასვლა		-	-
საბალანსო ღირებულება	-	-	6 727
სატრანსპორტო საშუალება		25 592	8 205
შემოსვლა/გასვლა		16 955	-
წლიური ცვეთა		3 418	821
ცვეთის გასვლა		2 986	-
საბალანსო ღირებულება	25 592	8 205	7 384

12. არამატერიალური აქტივები

საწარმოს არამატერიალური აქტივები შედგება პროგრამული უზრუნველყოფისაგან, რომელთაც გააჩნია განუსაზღვრელი მომხმარებლის პერიოდი და მათზე დარიცხულია 15% ცვეთა.

არამატერიალური აქტივების ნაშთი 2022 წლის ბოლოს იყო 1465 ლარი, ხოლო 2023 წლის ბოლოს 1245 ლარი.

13. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები და მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

როგორც საწყისი ასევე საბოლოო სავაჭრო ვალდებულებები არის მხოლოდ საანგარიშგებო ვალუტაში ნომინირებული.

სავაჭრო კრედიტორი
სხვა

2021 1 ლარი	2022 1 ლარი	2023 1 ლარი
834	25 834	10 612
91	810	7 500
743	26 644	18 112

ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები
კომპანიას იჯარები არ აქვს.

14. მიღებული გრძელვადიანი სესხები

კომპანიას აღებული ქონდა ერთი სესხი ბანკიდან, გადახდის პრაქტიკული ვადა აღემატება ანგარიშგების თარიღის შემდგომ 12 თვეს,

საბანკო სესხები გულისხმობს საწარმოს უზრავი ქონების გირავნობას ან თავდებობას,

სესხების გადახდა ხდება ანუიტეტის პრინციპით და ძირი და საპროცენტო თანხა იფარება ერთ თანაბარ გადახდაში დათქმული პროცენტის პირობით,

15. სააქციო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ნაშთი შედგება სრულად ანაზღაურებული წილისაგან.

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მაკორექტირებელი და არა-მაკორექტირებელი მოვლენები

არანაირი მაკორექტირებელი და არამაკორექტირებელი მოვლენები არ გამოვლენილა 2023 წლის დასრულების შემდგომ - ფინანსური ანგარიშგების მომზადების პერიოდამდე.

15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

პარნიორებმა და კომპანიის დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2024 წლის 25 სექტემბერს.

საწარმოს დირექტორი
ირაკლი ჩიქოვანი

